პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გამოცემის 25-ე წელი

# ახალი ხევი

№ 19 (1528)
ხუთშაბათი
4
მარტი
1956 წ.

ფასი 10 კაპ

საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ორგანო
АХАЛИ ХЕВИ Орган Казбегского райкома компартии грузии и райсовета депутатов трудящихся.

## ვაჭრობის მუშაკთა საპატიო ამოცანა

მთელი საბჭოთა ხალხი და მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობას, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მოხსენებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მუშაობისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ყრილობამ შეაჯამა საანგარიშო პერიოდში საბჭოთა ხალხის მიერ გაწეული გრანდიოზული მუშაობის შედეგები და დასახა ნათელი პერსპექტივები სოციალისტური სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის საბრძოლველად.

ყრილობის გადაწყვეტილებებმა უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა გამოიწვია ჩვენი რაიონის მშრომელებში. კოლმეურნეობათა მოწინავე მეცხოველეებმა ახალი ვალდებულებები აიღეს მეცხოველეობის განვითარების დარგში ყრილობის დირექტივებით დასახული ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად. ეს იმიტომ, რომ პარტიასა და მთავრობას არა აქვთ სხვა მიზნები და ამოცანები, გარდა ზრუნვისა ხალხის კეთილდღეობისა და მისი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების ყოველ მხრივად დაკმაყოფილებისათვის.

მეექვსე ხუთწლედი წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში; სახალხო მოხმარების საგნების სიუხვის შექმნის ამოცანის გადაჭრაში.

სახალხო მოხმარების საგნების სიუხვის შექმნასთან დაკავშირებით კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე იქნება აყვანილი საბჭოთა ვაჭრობა, ისეთ საფეხურზე, რომელიც შეეფერება სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნებს.

ეს ამოცანები დიდ და საპატიო მოვალეობას აკისრებს რაიონის ვაჭრობის დარგის მუშაკებს. მათი ყოველდღიური ზრუნვის საგანია დაუღალავად იმუშაონ საქონელბრუნვის ფართოდ გაშლისათვის, ვაჭრობის კულტურის ამაღლებისა და მყიდველთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე მოწოდების სიმაღლეზე არა დგას რაიონის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობა, რაიკოოპერაციის დროულად არ შემოაქვს რაიონისათვის განკუთვნილი ყველა საქონელი, ზოგიერთ სავაჭრო წერტებში უხეშად ირღვევა ვაჭრობის წესები, უგულებელყოფილია მეპაიებთან მუშაობა და სხვა.

მიმდინარე წლის აპრილის თვის ბოლო რიცხვებში მოეწყობა რაიკოოპერატივის ანგარიშგება არჩევნები, ხოლო მანამდე ჩატარდება რაიკოოპერატივის წევრთა საერთო საუბნო კრებები. ეს მეტად საპასუხისმგებლო კამპანია უნდა გამოყენებულ იქნას სამომხმარებლო კოოპერატივის ყველა რგოლის მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის; კრებებზე საჭიროა ვამხილოთ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. წამოვაყენოთ საქმიანი წინადადებანი მათი გამოსწორებისათვის, ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლას.

ყველა ღონისძიება გავატაროთ რაიკოოპერატივის წევრთა საერთო საუბნო კრებებისა და რაიკოოპერატივის საანგარიშო-საარჩევნო კრების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარებისათვის, ავიყვანოთ სავაჭრო ობიექტების მუშაობა პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების დონეზე.




მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებული ტრაქტორების, მარცვლეულის კომბაინების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოშვების მოცულობა.

წერილი უიზლარიდან

## აიღეს ახალი ვალდებულებანი

ისე, როგორც მთელი საბჭოთა ქვეყნის მშრომელები, დიდი ინტერესით გაეცნენ ჩვენი კოლმეურნეობის მეცხვარეები ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მოხსენებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე.

პარტიისა და მთავრობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა მწყემსებმა: ა. სამქანაშვილმა, ზ. ჩაბაკაურმა, ბრიგადირმა ვ. ჯოჯიკაშვილმა ვალდებულება იკისრეს მთელი ენერგიით იბრძოლონ დოლის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის, ასი პროცენტით შეინარჩუნონ ნამატი და სანიმუშოდ მოაწყონ დედა ცხვრისა და ბატკნის მოვლა-პატრონობა. ყველაფერს გავაკეთებთ მეცხოველეობის განვითარების დარგში მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების შესასრულებლად.

**ლ. ბაზალი,**
არშის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

## მეცხოველეობის განვითარებისათვის

დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ჩატარდა შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეთა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობას.

მიტინგზე სიტყვით გამოსულმა დარიალის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. შ. კობაიძემ განაცხადა: პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციასა და მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებში ნათლად არის ნაჩვენები კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის მიღწევები და მოცემულია სახალხო მეურნეობის განვითარების ბრწყინვალე პროგრამა. ყოველი ღონისძიებით უნდა განვითარდეს მეცხოველეობა და ამაღლდეს პროდუქტიულობა. კერძოდ, ხორცის და რძის წარმოება გადიდდება ერთიორად, მატყლის წარმოება—80-ზე მეტი პროცენტით. ეს მიზნად ისახავს რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილება მეცხოველეობის პროდუქტებზე.

სასოფლო საბჭოს აღმასკომისა და კოლმეურნეობის გამგეობის ვალია კოლმეურნე მშრომელები დარაზმონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, უზრუნველყონ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრება, ნამატის მთლიანი გამოზრდა.

**ი. ხართიშვილი.**

## გამოიცა სკკ პარტიის XX ყრილობის მასალები

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ და „პრავდის" გამომცემლობამ ბროშურებად გამოუშვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალები.

ბროშურები პარტიის XX ყრილობის მასალებით გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქტაგი).

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

* * *

სალამოს სხდომაზე, რომელიც გაიხსნა ამხ. ე. ა. ფურცევას თავმჯდომარეობით, დაიწყო კამათი ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების თაობაზე.

პირველი გამოვიდა ამხ. მ. ა. იასნოვი (რუსეთის სფსრ). ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მოხსენებაში, თქვა მან, მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული გრანდიოზული ამოცანები, რომლებსაც ჩვენი პარტია სახავს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის მეექვსე ხუთწლედში. ამხ. იასნოვს მოჰყავს მონაცემები, თუ როგორ განვითარდება მეექვსე ხუთწლედში რუსეთის ფედერაციის სახალხო მეურნეობა. სამრეწველო წარმოების მოცულობა გადიდდება 1,7-ჯერ. სახალხო მეურნეობის სამსახურში ჩადგება ციმბირის სამრეწველო ნედლეულის უმდიდრესი რესურსები, ციმბირისა, რომელიც უახლოეს ათ წელიწადში ქვანახშირის ამოღებისა და ელექტროენერგიის წარმოების დარგში ჩვენი ქვეყნის უდიდესი ბაზა გახდება. რესპუბლიკის მრეწველობა ხუთწლედის დამლევისათვის გამოუშვებს, დაახლოებით, ბამბის ქსოვილების საერთო საკავშირო წარმოების 78 პროცენტს, ფეხსაცმლის 60 პროცენტს, ხორცის 55 პროცენტს, ერბო-კარაქისა და რძის სხვა პროდუქტების 59 პროცენტს. მარცვლეულის კულტურების ნათესები რუსეთის ფედერაციაში გადიდდება სულ ცოტა 10 მილიონი ჰექტარით. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გამოიანგარიშეს, რამაც ცხადყო, რომ ხუთწლედის დავალება ხორცის წარმოების დარგში შეიძლება შესრულდეს 1958 წელს.

ამხ. კ. ტ. მაზუროვი (ბელორუსიის პარტორგანიზაცია) ამბობს, რომ დირექტივების პროექტში მექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომელიც ჩამოაყალიბა თავის მოხსენებაში ამხ. ბულგანინმა, მკაფიოდ არის გამოხატული პარტიის გენერალური გეზი, რომ უპირატესად განვითარდეს მძიმე ინდუსტრია—ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკისა და თავდაცვისუნარიანობის საფუძველი.

ბელორუსიის სს რესპუბლიკაში გათვალისწინებულია ხუთწლედის მანძილზე გადიდდეს მრეწველობის საერთო პროდუქცია დაახლოებით 1,7-ჯერ. ზრდის ძლიერი ტემპი დასახულია ენერგეტიკაში, მანქანათმშენებლობასა და ჩარხმშენებლობაში. დიდი ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობას.

ამხ. მაზუროვი ლაპარაკობს დამატებებსა და წინადადებაზე რომლებიც ბელორუსიის მშრომელებმა შეიტანეს დირექტივების პროექტში.

სიტყვა ეძლევა ამხ. ნ. ი. ბელიაევს. მიწათმოქმედების დარგში ჩვენი მთავარი ამოცანა, ამბობს ამხ. ბელიაევი, როგორც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, ის არის, რომ მოსავლიანობის გადიდებისა და ახალი მიწების შემდგომი ათვისების საფუძველზე მეექვსე ხუთწლედის დამლევისათვის მარცვლეულის ყოველწლიური მთლიანი მოსავალი გავადიდოთ თერთმეტ მილიარდ ფუთამდე. გავზარდოთ ტექნიკური კულტურების ფართობი და მნიშვნელოვნად გავადიდოთ მათი მოსავლიანობა, მკვეთრად გავადიდოთ კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება. ყველა შესაძლებლობა გვაქვს, ამბობს ამხ. ბელიაევი, რათა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შევასრულოთ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებანი სოფლის მეურნეობის დარგში. უკანასკნელ ორ წელიწადში მოხნული ახალი მიწების ნათესი სულ ცოტა 33 მილიონი ჰექტარი იქნება.

მეცნიერებამ და პრაქტიკამ დაამტკიცა, მაგალითად, რომ მოსავლის აღების ვადების შემცირება და ამით მარცვლეულის დანაკარგის შემცირება შეიძლება პურეულის ცალცალკე აღების გზით. მარტო რომ მოგვეხერხებინა ასეთი წესით აგვეღო მარცვლეულის ნათესთა მხოლოდ 25 პროცენტი და თითოეულ ჰექტარზე მოსავლის მარტო ორი ცენტნერი მატება მიგვეღო, დამატებით ავიღებდით 350 მილიონ ფუთზე მეტ მარცვლეულს. ამ წესის ფართოდ დანერგვისათვის საჭიროა გავადიდოთ სამკელებისა და შემგროვებელთა გამოშვება. ორატორი ამბობს შემდეგ, თუ რა გზით შეიძლება გავადიდოთ სიმინდის მოსავლიანობა.

ვ. პ. ელიუტინმა (მოსკოვი) თავისი სიტყვა უმაღლესი განათლების განვითარებას მიუძღვნა. მეექვსე ხუთწლედის მანძილზე სპეციალისტების გამოშვება უმაღლესი სასწავლებლებიდან ერთნახევარჯერ უნდა გადიდდეს, ხოლო მძიმე მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის სპეციალობათა დარგში—ერთიორად. ამხ. ელიუტინმა ხაზგასმით აღნი-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

## ყრილობის დღიური

შნა, რომ დიდი ყურადღება მიექცევა უმაღლესი სკოლის განვითარებას ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში.

1956 წელს ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლები მოამზადებენ 71.200 ინჟინერს ნაცვლად 36 ათასისა, რომლებიც გამოშვებული იყო 1950 წელს. სოფლის მეურნეობა მიიღებს 26 ათას სპეციალისტს, ნაცვლად 12.700 კაცისა 1950 წელს.

ამხ. **ნ. ვ. ლაპტევი** (ჩელიაბინსკის პარტორგანიზაცია) ამბობს, რომ წინა ხუთწლედის დავალებანი ჩელიაბინსკის ოლქის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა. შემდეგ იგი ლაპარაკობს ოლქის მრეწველობის განვითარების პერსპექტივებზე. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით გაიზრდება შავი მეტალურგია. ორატორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე ავითვისოთ ყაზახეთის სსრ კუსტანაის ოლქის რკინის მადნის საბადოები.

გამოდის ამხ. **მ. რაიმანი**, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. იგი ყრილობას მიესალმა გერმანიის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ყველა პროგრესული ადამიანის სახელით.

შემდეგ ყრილობას ავსტრიის კომუნისტური პარტიის სახელით მიესალმა ამხ. **ი. კოპლენიგი**, რომელსაც აგრეთვე გულთბილად შეხვდნენ ყრილობის დელეგატები.

ამხ. კოპლენიგის გამოსვლის შემდეგ თავმჯდომარე აქვეყნებს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის მისალმების ტექსტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი.

22 თებერვალს ყრილობის დილის სხდომა გაიხსნა ამხ. **ა. ი. ხნეჩკუსის** თავმჯდომარეობით. გრძელდება განხილვა ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის თაობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების შესახებ.

სიტყვას ამბობს ამხ. **ნ. ტ. კალჩენკო** (უკრაინის პარტორგანიზაცია). დირექტივების პროექტით, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა, ამბობს იგი, დასახულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობის გრანდიოზული პროგრამა.

მეექვსე ხუთწლედში ისახება საბჭოთა უკრაინის მწარმოებლური ძალების განვითარების შესანიშნავი პერსპექტივები. სამრეწველო წარმოების მოცულობა დაახლოებით 1,7-ჯერ გადიდდება. 1960 წელს რესპუბლიკა მოგვცემს დაახლოებით 200 მილიონ ტონა ქვანახშირს, 25 მილიონ ტონაზე მეტ თუჯს და 20 მილიონ ტონა ნაგლინს. ლითონის წარმოების მასშტაბით, აცხადებს ორატორი, უკრაინას ვერ შეედრება ევროპის ვერც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა.

მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი ზრდა.

რესპუბლიკას, თქვა შემდეგ ამხ. კალჩენკომ, უდიდესი მატერიალური შესაძლებლობანი აქვს იმისათვის, რომ გადაჭრას დასახული ამოცანები. ეს საფუძველს გვაძლევს პირობა მივცეთ XX ყრილობას, რომ უკრაინის მშრომელები მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებებს.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ამხ. **მ. გ. პერვუხინმა**.

ამხ. **მ. ტ. ეფრემოვმა** (კუიბიშევის პარტორგანიზაცია) ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რომლებიც კუიბიშევის ოლქის მშრომელებმა მოიპოვეს მეხუთე ხუთწლედში. სამრეწველო წარმოების მოცულობამ 1955 წელს 2,3 ჯერ გადააჭარბა 1950 წლის დონეს, ნავთობის ამოღება გადიდდა ერთიორად და უფრო მეტად, თბოელექტროსადგურების სიმძლავრე —2,8 ჯერ, დიდად განვითარდა მანქანათმშენებლობა.

პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტით, აცხადებს ამხ. ეფრემოვი, გათვალისწინებულია დამთავრდეს კუიბიშევის ჰესის მშენებლობა. პარტიის საოლქო კომიტეტმა მხარი დაუჭირა მშენებელთა და მემონტაჟეთა ინიციატივას, რომლებმაც აწონ დაწონეს რა თავიანთი რესურსები და შესაძლებლობანი გადაწყვიტეს დაამთავრონ კუიბიშევის ჰიდროკვანძის ყველა ობიექტის მშენებლობა და სრული სიმძლავრით აამუშაონ ჰიდროელექტროსადგური 1957 წელს. ამასთან დაკავშირებით ორატორმა დააყენა ელექტროგადაცემის ხაზის მშენებლობის დაჩქარების, ჰიდროკვანძის რაიონში ახალ სამრეწველო საწარმოთა აშენების საკითხი.

ამხ. **ა. ნ. ზადემიდკომ** თავისი სიტყვა მიუძღვნა ქვანახშირის მრეწველობის განვითარების საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, თქვა მან, ჩვენს ქვეყანაში იგრძნობა სათბობის ნაკლებობა.

დირექტივების პროექტით დასახულია ამოცანა— ქვანახშირის ამოღება არ ჩამორჩებოდეს სახალხო მეურნეობის ზრდად მოთხოვნილებებს სათბობზე და უზრუნველყოთ საჭირო მარაგის დაგროვება. ქვანახშირის ამოღება გათვალისწინებულია გადიდდეს 52 პროცენტით.

საბჭოთა მეშახტეები, აცხადებს დასასრულ ამხ. ზადემიდკო, მთელ ძალღონესა და შემოქმედებით ენერგიას მოახმარენ იმას, რომ წარმატებით შეასრულონ ქვანახშირის მრეწველობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ნ. მ. შვერნიკმა**.

ტრიბუნაზეა ამხ. **დ. ა. კუნაევი** (ყაზახეთის პარტორგანიზაცია). მან თქვა, რომ ყაზახეთი გადაიქცა მსხვილი ინდუსტრიის, მექანიზებული სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად, სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ გასულ წელს ერთიოთხად და უფრო მეტად გადააჭარბა ომამდელ დონეს. აშენდა ახალი დიდი სამრეწველო საწარმოები. დიდად განვითარდა სოფლის მეურნეობა. რესპუბლიკაში მოხნულია 18 მილიონ ჰექტარზე მეტი ყამირი და ნასვენი მიწა ახალ მიწებზე შექმნილია 337 მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა. ასრულებენ რა ახალი მიწების შემდგომი ათვისების დავალებებს, განაცხადა ორატორმა, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები იღებენ ღონისძიებებს მეცხოველეობის უფრო სწრაფი განვითარების უზრუნველსაყოფად.

სირიისა და ლიბანის კომუნისტური პარტიის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ამხ **ჰ. ბაგდაშმა**, რომელსაც ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ. მან თქვა. რომ საბჭოთა კავშირისადმი მეგობრობისა და მადლიერების გრძნობით გამსჭვალულია მილიონობით ადამიანი სირიასა და ლიბანში და არაბთა ყველა ქვეყანაში.

სირიას, ისე როგორც ეგვიპტესა და არაბთა სხვა ქვეყნებს, ამბობს ორატორი, სურს თავი დააღწიოს ეკონომიურ ჩამორჩენილობას. რომელიც გამოწვეულია იმპერიალიზმის პოლიტიკით.

თავის სიტყვას ამხ. ბაგდაში ამთავრებს რუსულ ენაზე. იგი გამარჯვებას უსურვებს საბჭოთა კავშირს. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა კავშირ-არაბთა ქვეყნების მეგობრობას.

შემდეგ სიტყვას ამბობს იაპონიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი, რომელსაც ყრილობის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ. მან გამოაქვეყნა იაპონიის კომპარტიის მისალმება ყრილობისადმი.

დამსწრენი გულთბილად ხვდებიან ბრაზილიის კომპარტიის წარმომადგენელს, რომელმაც წაიკითხა ბრაზილიის კომუნისტური პარტიის მისალმება ყრილობისადმი.

* * *

ყრილობის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა ამხ. **ო. ვ. კუუსინენი**.

პირველი გამოვიდა ამხ. **ვ. პ. მილარშჩიკოვი**. უკანასკნელ წლებში, ამბობს იგი, პარტიამ დიდი ყურადღება მიაქცია სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხებს. ეს ნათლად ჩანს რუსეთის ფედერაციის მაგალითით. 1953 წელთან შედარებით რესპუბლიკის ნათესი ფართობები 15,6 მილიონი ჰექტარით გადიდდა, 22 პროცენტით გაიზარდა მარცვლეულის მოსავალი. გადიდდა რძის, ხორცისა და მატყლის წარმოება. მაგრამ ეს წარმატებანი ჯერ კიდევ მეტად მცირეა და ვერ დაგვაკმაყოფილებს. ამოცანა, რომელიც ვორონეჟელმა კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა დასახეს, —გააორკეცონ ხორცის წარმოება ერთ წელიწადში და რძისა წელიწადნახევარში — შეუძლია შეასრულოს ყოველ ოლქს, მხარეს.

ამხ. მილარშჩიკოვმა აღნიშნა, რომ საჭიროა დაინერგოს მარცვლეული კულტურების მოსავლის ცალცალკე აღება, რაც შესაძლებელს გახდის პურეულის მომკას 5-7 დღით, ხოლო ციმბირისა და ურალის კოლმეურნეობებში 8-10 დღით ადრე, ვიდრე კომბაინებით.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ამხ. **მ. ზ. საბუროვმა**.

შვეციის კომუნისტური პარტიის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ჰ. ჰაგბერგმა**, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

შვედი ხალხი, თქვა მან, დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის ბრძოლას ხალხთა თანასწორუფლებიანობისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელებისათვის საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას, რომ გადასცეს ფინეთს პორკალა-უდის ტერიტორია. იმას, რომ იგი მხარს უჭერს ფინეთის ნეიტრალიტეტს და მის განცხადებას, რომ მზად არის უზრუნველყოს აგრეთვე სხვა ქვეყნების ნეიტრალიტეტი, მხურვალედ გამოეხმაურა შვედი ხალხი

შემდეგ გამოაქვეყნეს კუბის სახალხო-სოციალისტური პარტიის და ჩილის კომუნისტური პარტიის მისალმებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი.

სიტყვა ეძლევა ამხ. **ვ. ე. ჩერნიშევს**, (კალინინგრადის პარტორგანიზაცია).

—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური დახმარებისა და ზრუნვის მეოხებით,—ამბობს იგი, — კალინინგრადის ოლქი გადაიქცა ბალტიკის უდიდეს რაიონად. რომელსაც აქვს განვითარებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.

მიუხედავად ამისა, საოლქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის დარგში აგრეთვე ორგანიზაციულ-პარტიულ და იდეოლოგიურ მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანია.

ორატორმა გააკრიტიკა სსრ კავშირის ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო, რომელიც ახორციელებს ოლქში არსებული ცელულოზ-ქაღალდის კომბინატების რეკონსტრუქციას და ცუდად ამარაგებს მათ ნედლეულით.

შემდეგ ამხ. ჩერნიშევი შეეხო ... ბა თევზის მრეწველობის განვითარების პერსპექტივებს.

ტრიბუნაზეა ამხ. **ი. თ. თევოსიანი**. მან შეაჯამა განვლილი გზის შედეგები და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენ ... ნარეს ყოველისა უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენი პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მეთაურობით ... დიდი მასწავლებლის ... მერ ილიას-ძე ლენინის ... აღმოჩნდნენ. პარტიამ ... სათავეში ჩაუდგომოდა საბჭოთა ხალხის შემოქმედებით აქტივობას და მიაღწია ... მრეწველობის განვითარების მაღალ ტემპს, გაცილებით მაღალს, ვიდრე დასახული ... სამამულო ომის შემდგომ პირველ წლებში. ჩვენს ქვეყანას აქვს ახლა მძლავრი ეკონომიური ბაზა, რომ უზრუნველყოს მეექვსე ხუთწლედში ... გამოდნობის, ქვანახშირისა და ნავთობის ამოღების ... ტება, როგორიც არ ... ლა არც ერთ ხუთწლედში.

ამხ. თევოსიანი ... რის ეკონომიკის განვითარების საკითხს, ამოცანებს ... ლებიც დგას მეტალურგ... და სათბობის მრეწველობის მუშაკთა წინაშე.

შეეხო რა შრომის ნაყოფიერების გადიდების გზებს, ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა სპეციალიზაციისა და კოოპერირების მნიშვნელობა.

ბელგიის კომპარტიის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. **ე. ბიურნელი**, რომელსაც ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ.

ბელგიელი ხალხი, თქვა მან, მეტად დიდ ინტერესს იჩენს საბჭოთა კავშირისადმი. მიუხედავად მშვიდობის მტრების ცილისმწამებლური კამპანიისა, იგი არ ადგება ანტისაბჭოთა პოლიტიკის დამღუპველ გზას.

საბჭოთა კავშირის მტკიცე და ნაყოფიერი საქმიანობა მშვიდობის სასარგებლოდ, ... ნაცხ და დასასრულ ... მა, მისი ბრძოლა ატომური ბომბის აკრძალვისათვის, ... სავლეთ გერმანიის ხელახალი შეიარაღების წინააღმდეგ, ... კავშირის ავტორიტეტის ... დესი ზრდა—ყოველივე დიდი რწმენით აღავსებს მშრომელებს, რომლებიც ... ბედნიერი, დამოუკიდებელი ბელგიისათვის.

ამით დამთავრდა საღამოს სხდომა.

ყაზბეგი — გაზეთ „ახალი ხევი"-ს სტამბა — ტირაჟი 1100 — რედაქტორი გ. ჩაბაკაური